ისტორიანი

არტანუჯი

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და მცხეთის გალუთი გვიანანტიკურ ხანაში

გურამ ლორთქიფანიძე, გურამ ყიფიანი

ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ საისტორიო თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და ახ. წ. IX საუკუნის პირველი ნახევრით იფარგლება, აღწერილია გვინანტიკური ხანის ებრაული თემი, კაჰალა, გალუთი (განდევნა). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-მ იცის, რომ ებრაული კომპაქტური კოლონიის წარმოშობა მცხეთაში ებრაელთა „ცის კიდეთა გაბნევაჲ“-ს შედეგია. მცხეთის „გალუთი“ ქრისტიანობის ქართლში გავრცელების ფონზე, იმდენად რეალისტურადაა აღწერილი, რომ მას „ებრაული მოთხრობაც“ შეიძლება ეწოდოს. განსაკუთრებით ფასეულია წყაროს სიზუსტე მცხეთის გალუთის სოციალური ორგანიზაციის, მისი სტრუქტურისა და სინაგოგასთან დაკავშირებით. ყველგან, სადაც დევნილი ებრაული მოსახლეობა კომპაქტურად დასახლდა, მათ შორის „ჰურიანი ქართლისანი“ ინარჩუნებდა ნახევრად ავტონომიური მართვის თემურ სისტემას, ცენტრში სინაგოგით: დაფუძნებულს იუდაიზმის პრინციპებზე, თავისი განათლებით, სამართლით, ზნეობრივი ნორმებით და წეს-ჩვეულებებით [55; 41. 22-230; 54. 110-120]. შესაბამისად მცხეთის გალუთი რჩებოდა მართალია დანაწევრებულ, მაგრამ სულისკვეთებით ეროვნული ორგანიზმის ცოცხალ შემადგენელ ნაწილად, რომელიც იმართებოდა იერუსალიმიდან. ამგვარად მცხეთის ებრაული თემი „ერეც ისრაელის“ გენეტიკურ ნაწილს, მის ერთ-ერთ ცოცხალ უჯრედს, ერთიანი ეროვნული ორგანიზმის გენეტიკურ კოდს წარმოადგენდა. მან ჩვენ დრომდე მოაღწია და დღეს აღორძინებული ისრაელის სახელმწიფოს კულტურის საფუძველია [58. 13].

„გალუთს“ ვერ ჰგუობდა მხოლოდ პრიმიტიული ბარბაროსული საზოგადოება, რომლისთვისაც მიუღებელი რჩებოდა მონოთეიზმის იდეები და სამყაროს მისეული აღქმა. მათ არ ძალუძდათ ებრაელთა გამჭრიახობისა, ფხიანობისა და შრომისმოყვარეობის დაფასება, რაც ბუნებრივია კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდა [40. 332, 474; 56. 282-306; 9. 66-67]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მონაცემებით ამ მხრივ საპირისპირო, განსხვავებული ვითარებაა ქართლში. ამებრაული

გალუთის სტუმარია თავდაპირველად (ახ. წ. 312 წელს)[1] მოციქულთასწორი ნინო კაპადოკიელი. ის ებრაული თემის მეშვეობით, ეცნობა წარმართულ საქართველოს ცხოვრებას, მის კულტურასა და ენას. აქედან გამომდინარე, „უაღრესად საინტერესო ჩანს ებრაელთა და ქართველთა ურთიერთობა, ებრაელთა ჩამოსახლება საქართველოში და მათ საქმიანობასთან, ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები" [22. 24].

უკანასკნელ ხანებში გაიზარდა ინტერესი ქართულ-ებრაული ურთიერთობის კვლევის მიმართულებით. მცხეთის ებრაულ თემს რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა [63. 39-59; 17. 15-24; 29. 40-41; 59. 60-66]. ძირითადად ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით. სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი არქეოლოგიური მასალების შემოტანის მიუხედავად [28. 50-54; 27. 92-99], ქართლის ებრაული დასახლებების ისტორია, გალუთის წარმოშობის პრობლემა გადაუჭრელია და არ კარგავს აქტუალობას [34. 182-198]. ჩვენი მიზანია წერილობითი წყაროების, კერძოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შეჯერება არქეოლოგიურ მასალასთან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს განსაკუთრებული ინტერესი ებრაული თემისადმი კონცეფციურად სავსებით გარკვეულია. ქართველმა ებრაელებმა, კერძოდ პროზელიტებმა მართლაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების საქმეში. იუდაიზმი და ადრეული ქრისტიანიობა (I-II სს.) ძალზე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან [46. 92-100]. საკმარისია ითქვას, რომ წმ. მოციქულთასწორის ნინოს პირველი მოწაფეები ქართველი ებრაელები იყვნენ. პირველი მოციქულებიც ქრისტიანობას ქადაგებდნენ ებრაულ გალუთებში [45. 253-273]. ასევე, წმ. ნინო „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს თანახმად პირველ თავშესაფარს საქართველოში პოულობს ქალაქ ურბნისის ებრაული გალუთის სინაგოგაში. მისივე სიტყვებით: „და მოვედ ბაგინსა ჰურიათასა ენისთვის ებრაელებრისა და ვიყავ მუნ ერთი თუე, და განვიცდიდი ძალსა ამა ქვეყნისა" [32. 68]. ანუ ის ურბნისში ეცნობოდა სინაგოგის ჯამაათის მეშვეობით მისთვის უცნობი ქვეყნის ენასა და ზნე-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს. ამ მხრივ მკვეთრად ნიშანდობლივია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შემდეგი პასაჟი: „და ვჰკითხე ჰურიასა დედაკაცსა, თუ რაი არს ესე?" და მან მრქუა:" [32. 70]. საყურადღებოა იუდეველი ქალის ლაკონური პასუხი – მათი ღმერთების ღმერთი სხვა არაფერია გარდა კერპისაო. მცხეთის ბაგინისაგან განსხვავებით რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ურბნისის სათემო სინაგოგაზე (ებრ. ბეთ-ქნესეთ – შეკრების სახლი) არავითარ ინფორმაციას არ იძლევა. არქეოლოგიური მონაცემებით [39. 29] ანტიკური ხანა ურბნისასათვის, როგორც მნიშვნელოვანი საქალაქო სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის ფორმირების ეპოქაა. ურბნისი შემთხვევით როდია მოხსენიებული „მოქცევაჲ

[1] წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ამოსავალ წერტილად აღებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მიერ თხოთის მთაზე დაფიქსირებული მზის დაბნელების ფაქტი, რომელსაც ასტრონომების გამოკვლევით მართლაც ჰქონია ადგილი ქრისტეშობიდან 319 წელს მაისს, საღამოს [13. 139-140], წმ. ნინოს საქართველოში შემობრძანების შვიდი წლის ... დეგ.

ქართლისაჲ"-ს უძველეს ე. წ. ქრონიკალურ ნაწილში, მდინარე მტკვრის გაყოლებაზე ქართლში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებამდე არსებულ ოთხ ქალაქს შორის. გვიანანტიკური ხანის ურბნისი (მის სახელწოდებას ა. ხახანაშვილი უკავშირებდა ლათინურ urbs, რაც ნიშნავს გალავნის კედლითა და კოშკებით გამაგრებულ სამოსალაქო დასახლებას) დაცული ყოფილა მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით [11. 9-22; 42. 11-15]. წმ. ნინოს ურბნისში მოსვლის დროისათვის მისი საზღვრები იმდენად გაფართოებულა, რომ მას გადაუფარავს გვიან ელინისტური ხანის სამაროვანი. აქ აღმოჩენილია ქვევრის პირი, გამოწვამდე დატანილი არამეული წარწერით, რომელიც აკად.კ. წერეთლის თანახმად ორნაირად შეიძლება გაიშიფროს: 1) ძღვენი, შეწირულობა და 2) სამსხვერპლო, წმიდა ადგილი. წარწერა პალეოგრაფიულად ახ. წ. II საუკუნით თარიღდება [38. 341] არ არის გამორიცხული, რომ ეს პატარა ქვევრი, რომელსაც ტევადობის აღმნიშვნელი არამეული რიცხვიც ახლავს – 11, დაკავშირებული იყოს აქვე გამოვლენილ ალიზის მცირე ნაგებობების ნაშთებთან [შეად.: 39. 54], რომელიც შესაძლოა ებრაულ თემს ეკუთვნოდა. ებრაულ ეთნოსს შეიძლება დავუკავშიროთ საოჯახო მეორადი დაკრძალვისათვის განკუთვნილი III-IV საუკუნეებით დათარიღებული შვეულკიდიანი თიხის უინვენტარო სარკოფაგები ურბნისიდან [48. 297-298], რომლის მსგავსი და თანადროული ოსუარიუმები მცხეთაში და მის შემოგარენშია აღმოჩენილი [27. 95]. საგვარეულო ოსუარიუმები დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის ებრაული კულტურისათვის.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" ზუსტად აფიქსირებს ებრაელების ქართლში და მცხეთაში ჩამოსახლების დროს: „იბ (12) და მეფობდა ქარძამი არმაზში და ბრატმანი მცხეთაში ამათთა ჟამსა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს" [26. 22]. თუ როდის და რა პირობებში მოხდა ებრაელთა ჩამოსახლება ქართლში აინტერესებდათ ორასი წლის შემდეგაც XI ს „ქართლის ცხოვრების" ავტორ-შემდგენლებს[1]. ისინი გარდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს, სხვა წყაროებსა თუ საარქივო მასალებსაც ფლობდნენ [36. 07-09; 57. 12]. მათ ასეთნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი ებრაელების მცხეთაში (სურ. 1) ჩამოსახლების დრო და ვითარება: „მეთერთმეტე მეფენი ბარტამ და ქართამ (ლეონტი მროველი წარმართი მეფეების რიგს იწყებს არა აზოთი, როგორც ესაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში, არამედ ფარნავაზიდან. აქედან სხვაობა რიგითობაშია. ძენი ადრეკისა ... ხოლო ამათსა მეფობასა

[1] ლეონტი მროველმა, საეკლესიო იერარქმა, რომელმაც უეჭველია კარგად იცოდა ბიბლია (შეად. მეოთხე მეფეთა, 24, 25) და აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩათვალა ერთგვარი შესწორება შეეტანა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ის ქრონიკებში, მის იმ ნაწილში, სადაც საუბარია „ქალდეველთაგან გადმოსხმულნი ჰონების" შესახებ. მან შემდეგი კორექტივი შეიტანა ტექსტში, ეს ეთნონიმი „ჰუნები" შეცვალა „ჰურიათი", უფრო ზუსტად ბაბილონელი ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმიდან „ოტებული" ებრაელებით! ამასთანავე უცვალელად დატოვა ბუნ-თურქებთან და ჰუნებთან დაკავშირებულ დასახლებათა აღმნიშვნელი სახელწოდებები: სარკინე, ციხე-დიდი, ზანავი, ხერკი, წყარო, რომლებმაც ჩვენ დრომდე მოაღწიეს.

ვესპასიონოს ჰრომთა კეისარმან წარტყვნა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძველთაგანვე მცხეთას ურიათა თანა [15. 44]. მსოფლიო ისტორიიდან მისთვის ცნობილი ყოფილა რომის კეისრის ვესპასიანეს მიერ 70 წელს იერუსალიმის აოხრების, მეორე ტაძრის დანგრევისა და ებრაელების სამშობლოდან მასობრივი აყრის ფაქტები. ამიტომ მან ლოგიკურად დაუკავშირა ისინი ებრაელების ქართლში ჩამოსახლების ტრადიციულ თარიღს. მოვსეს ხორენაცმა (V ს.) ბიზანტიური ქრონიკებიდან ასევე იცოდა ვესპასიანეს და ტიტეს მიერ დანგრეული იერუსალიმიდან ებრაელების მასობრივი გასახლებების შესახებ, „მათ რომი შორიდანაც ველარ დაენახათ“ [23. 143]. ებრაელობა მაშინ გაიფანტა მთელ რომის იმპერიაში, მისი გავლენის ქვეშ მყოფ მეზობელ ქვეყნებში, სადაც შეიქმნა ებრაული კომპაქტური დასახლებები – გალუთები [46. 56-59]. აქ „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ ერთში ცდება. იბერიის მეფე ამ დროს ბარტამ-ქართამი კი არა, არამედ „ფარსმან მითრიდატეს ძეა“, რომაელი კეისრების – ვესპასიანესა და ტიტეს „მეგობარი“, „რომაელთა მოყვარული“. ამ ტიტულებით მოიხსენიება ფარსმან II ქველი, 75 წლით დათარიღებულ ლაპიდარულ წარწერაში [35. 29, 251], რომელიც თავის დროზე ამშვენებდა „დიდი მცხეთის“ აღმოსავლეთ კარიბჭეს. გ. მელიქიშვილი ქარძამ (ქართამ) – ბრატნმან (ბარტამ) ორმეფობის ხანას ძვ. წ. II საუკუნის 50-60-იანი წლებით განსაზღვრავდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ზოგიერთ ქრონოლოგიურ მინიშნებაზე დაყრდნობით ის ებრაელ ლტოლვილთა ჩამოსახლების აბსოლუტური თარიღის დადგენასაც შეეცადა (ძვ. წ. 169 წ.) [19. 156; 20. 55-58, 61; 21. 452-453]. ე. მამისთვალიშვილმა ამ გათვლაში 503-334 წწ. მცირე შესწორება შეიტანა. მან ამოსავალ წერტილად მაცხოვრის არა დაბადების, არამედ მისი ვნების წელი მიიჩნია. შესაბამისად ებრაელების მცხეთაში სავარაუდო დაფუძნების წლად (503-367) ძვ. წ. 136 წელი მიიღო [17. 22], გარდა აღნიშნულისა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცულია კიდევ ერთი მინიშნება ებრაელთა ქართლში, კერძოდ მცხეთაში დამკვიდრების თაობაზე. თუმცა მანანა სანაძე უნდობლობას უცხადებს მას, რადგან ზუსტად არ ვიცით თავად ამ პასაჟის მოქმედების დროის ათვლის წერტილი; უცნობია IV, თუ V საუკუნეშია ის დაწერილი (იგულისხმება „ნინოს ცხოვრების“ ეს მონაკვეთი). ამასთანავე მის ახალ, წარმართი მეფეების ნუსხაში ქარძამ-ბრატმანის ზეობას ძვ. წ. 50-იან წლებით განსაზღვრავს [30. 30-48; 31. 34, 97]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დაწვრილებით აღწერს პროზელიტის, ყოფილი „ჰურიათა მღვდლის“ აბიათარისა და მირიან მეფის (IV ს. პირველი ნახევარი) დიდებულის „ასტირონ მთავარ გუასფურაგნელი“-ის[1] საიდუმლოდ – „ფარულად“ შემდგარ საუბარს. ქართლის

[1] სადავოა ასტარონ (სახელი ბერძნულია ავტ.) მთავრის დაკავშირება სომხურ პროვინცია ვასპურაკანთან (მდებარეობდა ვანის ტბის ჩრდილო აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ მხარეში. სამეფო არსებობდა 908-1021 წწ). მოვსეს ხორენაცი ვასპურაკანელ პიტიახშებს და არა მთავრებს (ბდეშახებს) მხოლოდ ერთხელ ასხენებს [23. 151]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ვასპურაკანს კიდევ ერთხელ ასახელებს („გუასპურანაგს“) სპარსეთის მოხარკე ქვეყნებს, სომხეთისა, ქართლისა და სივნიეთს შორის, რაც ანაქრონიზმი [32. 17]) უნდა იყოს.

მეფის მთავარს აინტერესებს თუ რამ გამოიწვია მისი გაქრისტიანება („ბაგინი დაგიმხობია"). ის ახსენებს აბიათარს: „მამანი შენნი აქა მოწევნითგან, რამეთუ არიან წელნი, ვინაითგან მამანი თქუენნი აქა მცხეთად მოვიდეს ხფგ(503)" [24. 25]. ჩანს, რომ ეს პირობითი დამრგვალებული რიცხვი არ არის და მცხეთელთა ისტორიული მახსოვრობას ასახავს. აბიათარი მცხეთის მოქალაქე – „წილით ხუედრებული მკვიდრი" არ დაობს ამის თაობაზე. ის უხსნის მთავარ ასტირონს: თუ მაცხოვრის ჯვარზე გაკვრის შემდეგ როგორ გაწყრომია ღმერთი ებრაელებს – „დღესადმე ქრისტეისითგან არიან წელნი ტლდ" (334). აქაც თარიღი რეალურია და ყოველგვარი დამრგვალების გარეშეა მოყვანილი, ვფიქრობთ გამოსარიცხია მისი პირობითობა. შატბერდისეულ ნუსხაში, თუ კი ეს გადამწერის უნებლიე შეცდომა „ლაპსუს კალამი" არ არის ეს ციფრი უკვე ნამდვილად დამრგვალებულია 300-მდე [25. 347]. თავის დროზეეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ლეონტი მროველს, რომელიც მცირე კომენტარს უკეთებს აბიათარის ამ ცნობას: „არს მათ ჟამთაგან სამასი წელი და უმეტესიცა" [14. 94]. თუ ამ მონაცემების შეჯერების ტრადიციული გზით წავალთ, მაშინ ებრაელთა ჩამოსახლების ახალ თარიღად ძვ. წ. 203 წ. მივიღებთ, ასევე არაფრით გამორჩეულს ებრაელი ერის ისტორიაში. ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს თანახმად რაბი – ყოფილი ანუ „პირველ მღვდელ ბაგინს შინა" აბიათარი, პროზელიტი, განათლებული პიროვნება, გალუთის ისტორიული მახსოვრობის მატარებელად წარმოგვიდგება. ის სიამაყით აცნობს ასტირონს: „მე ნათესავი ბენიამინის[1] რჩეულთა მოსეს მიერითა წურთილ ფრიად წიგნთა" [32. 26] რის შესახებაც ცოდნია თავად მირიან მეფეს (250-334). გარდა ამისა, მას აქვს ცნობები თავის წინაპრების, კერძოდ ელიოზ მცხეთელის შესახებ, (იერუსალიმში მაცხოვრის ვნების მოწმე ახ. წ. 30 წ.). აქედან გამომდინარე მისი ინფორმაცია ანგარიშგასაწევია. ამგვარად, მცხეთის გალუთი იერუსალიმიდან ლტოლვილი ებრაელების დაარსებულია. ამ გარემოებითაც შეიძლება აიხსნას მცხეთის ისტორიული სახელწოდებების თანხვედრა „წმინდა მიწის" ტოპონიმიკასთან (ამაღლების მთა, ბეთლემი, გეთსემანია, გოლგოთა, სიონი [43. 358-363; 1. 37].

„მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ქრონიკალური ნაწილი მკვეთრად მიჯნავს იბერიაში ალექსანდრე მაკედონელის შემოსევამდე არსებულ და შემდგომად წარმოშობილ ქალაქებს თავისი დაბებითა და ციხე-სიმაგრეებით. პირველ შემთხვევაში საუბარია მტკვრის ხეობაში განლაგებულ ოთხ უძველეს ქალქზე: „სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრხე და ციხენი მათნი" [26. 10]. მცხეთა, როგორც ვხედავთ, არ შედის ამ ძველი ქალაქების ნუსხაში. მცხეთა დაარსებულია მოგვიანებით ქართლის მერვე წარმართი მეფის მიერ: „და მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხ-

[1] ბენიამინი ისრაელის 12 ტომიდან ერთ-ერთი ტომის მამამთავარი, იაკობ-ისრაელის მეშვიდე უმცროსი შვილია. ბენიამინის ტომი, შტო იუდას სამეფოს ერთ-ერთი შემქმნელია იუდას ტომთან ერთად. აღთქმულ ქვეყანაში, მოსეს ლოცვა-კურთხევით ერგო იერუსალიმი და მისი დასავლეთი შემოგარენი (მეორე სჯული, 33:12) [44. 87-88].

ეთას ქალაქი დაიწყო“ გვამცნობს წყარო [26. 11] მცხეთის „დაწყება“ როგორც სამეფო რეზიდენციის, სატახტო ქალაქის ფორმირება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით სრულდება ქართლის მეცხრე მეფის მირეანის დროს: „მან აღაშენა მცხეთაი ქალაქი“ [26. 11]. მ. სანაძის ახალი ქრონოლოგიით ბრატმან I მეფობდა ძვ. წ. 143-125 წწ, ხოლო მისი მემკვიდრე მირეანი ძვ. წ. 125-110 წწ. [31. 27]. შესაბამისად, ებრაელების დამკვიდრება ქართლის დედაქალაქში მცხეთაში ცხადია მხოლოდ მისი დაარსების შემდეგ II საუკუნის მიწურულში იქნებოდა შესაძლებელი. ჩვენი აზრით უაღრესად სანდო ეროვნული ქრონიკის ეს მონაცემები სრულ შესაბამისობაშია გვიანანტიკური ხანის ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობებთან. პლინიუს უფროსი (I ს.) იბერიის მთავარ ქალაქად „ჰერმასტუსს“ (Hermastus) ანუ – არმაზ-არმასციხეს ასახელებს, რომელიც „მდინარის პირას“ მდებარეობდა (Plin. NH, I, 26) [2. 150]. პლინიუსმა იცის მცხეთის არსებობაც, მაგრამ ის მისთვის ქალაქის სტატუსის მქონე არ არის. შესაბამისად მას უბრალოდ პუნქტად – „მესხთა დასახლებად“ (Moschorum Tractus) მოიხსენიებს (Plin. NH, I, 37, V) [51. 156]. ამ დროს ის არც „urbs“-ია, გალავნით შემოზღუდული ქალაქი და არც „oppidium“-ი, სტრატეგიული გამაგრებული ადგილი, ის უბრალო დასახლებული პუნქტია; tractum-ი, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს მის ხასიათს, ის განვითარების სტადიაზეა (ახალი წარმოშობილია!) რაც ზუსტად ასახავს ამ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე განლაგებული დასახლების ბუნებას. პტოლემაიოსის (II ს.) ცნობილ „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში“ „მცხეთა“ „მესლეტა“ – „Μεσλητα“ იბერიის ქალაქების (πόλει) რიცხვშია, არმაზ – არმაკტიკა – Αρμακτικα-სთან ერთად (Ptol. Geo. II, 1) [16. 46]. „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელსაც წლების განმავლობაში აკად. ა. აფაქიძე ხელმძღვანელობდა, მეტად საყურადღებო შედეგები მოგვცა. ამ ახალი მონაცემებით ისტორიული მცხეთის ტერიტორია, ხერთვისის მთელი პერიმეტრი ათვისებულია ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე. გეოლოგიური მონაცემებით მანამდე აქ არაგვის სამოძრაო სივრცეა. კარგად ჩანს აღნიშნული ვითარება სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიებზეც, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქვემო სამოთხესა შინა“ მდებარეობს ანუ სამეფო ბაღში [26. 38-39]; აქ წმ. ნინომ ცხრა თვე იცხოვრა. სპეციალურად აქ გავლებულმა საკონტროლო-სტრატიგრაფიულმა ჭრილებმა ასეთი სურათი მოგვცა: ზედა, თანამედროვე სასიარულო დონიდან 0,60 მ სისქის ჰუმუსოვანი დაშრევების შემდეგ დაფიქსირდა ძირითადი, მძლავრი ახ. წ. I-III საუკუნეების კულტურული ფენა 0,90 მ-ის სიმძლავრისა [18. 28]. დედაქანი, ე. წ. მატერიკი, რომელზედაც დაფუძნებულია ადამიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებული გვიანანტიკური ხანის არტეფაქტები მდინარეული ქვა-ღორღით, შლამითა და რიყის ქვებით, ალვიური დაშრევების შედეგად წარმომდგარა. ესაა არაგვის რიყნარი. ყველაზე ადრეული არქეოლოგიური მასალა აქ ახ. წ. I საუკუნით თარიღდება. მცხეთის ყველაზე ადრეული არქეოლოგიური არტეფაქტები, არქეოლოგიური მასალა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნას განეკუთვნება. მცხეთის საქალაქო სამაროვანზე ელინისტური ხანის სამარხები წარმოდგენილი

არ არის. აქ მხოლოდ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ჩნდება საქალაქო მოსახლეობის საფლავები [4. 30]. მცხეთის ცენტრალურ ნაწილში ჩატარებულმა შედარებით მცირე მასშტაბის არქეოლოგიურმა გათხრებმა (დღევანდელი დავით აღმაშენებლის ქუჩა) გამოავლინა გვიანანტიკური ხანის I-IV საუკუნეების მცხეთის, წმ. ნინოს ეპოქის საქალაქო უბნის ერთი მონაკვეთი. ესაა 20 მ-ს სიგრძისა და 3 მ-მდე სიგანის ვიწრო ქუჩა. მის გაყოლებაზე, ორივე მხარეს მიჯრით ჩაყოლებულია საცხოვრებელი სახლები, ნაგები რიყისა და ფლეთილი ქვის წყობით. ერთ-ერთ სახლში თიხის ხელადაში აღმოჩნდა დაგრაგნილი თხელი ოქროს ფირფიტა – ავგაროზი, არამეული წარწერით [28. 41; 38. 95-127]. ესაა კლასიკური ტიპის ებრაული ავგაროზი, ამულეტი, რომელიც „აბრაამ საარას ძის“ კუთვნილებაა. ებრაული წესის თანახმად მფლობელის სახელი ოთხჯერ იხსენიება ავგაროზში, რომელსაც ჩვეულებრივ ყელთან, სასულიერო პირები კი შუბლზე ატარებდნენ. ასეთი მაგიური ამულეტები ფართოდ იყო გავრცელებული გვიანანტიკური ხანის ებრაულ ყოფაში [64. 3-30]. მისი აღმოჩენა ადასტურებს მცხეთაში ტრადიციული ებრაული ცხოვრების წესის არსებობას. ებრაული თემის არსებობის შესახებ გადმოცემები XIX საუკუნემდე შემოინახა მცხეთელთა ისტორიულმა მახსოვრობამ [52. 15]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გალუთის ცხოვრების ცენტრს სინაგოგა წარმოადგენდა. ის, ჩვეულებრივ, ებრაული კომპაქტური დასახლებათა კვარტალის ცენტრში მდებარეობდა, უცხო თვალისაგან საიმედოდ დაცული [47. 56-68]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიგვანიშნებს კიდევ ერთ საინტერესო დეტალზე: ქართულ – ებრაულ რელიგიურ ურთიერთობათა ყოველდღიურობას რომ ასახავს. „შე-რას მე – ვსცთე სიტყუასა ებრაელთა თანა“ [26. 70]. რაც ნიშნავს, რომ წარმართებს ებრაელებთან საუბრისას სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ. სათანადო პატივი მიეზღოთ „დიდი ღმერთის არმაზისათვის“ და არ გაემჟღავნებინათ რელიგიური წესები.

ებრაელთა ორგანიზაციული ცენტრის სინაგოგის მეშვეობით ხორციელდებოდა კავშირი, მიწერ-მოწერები სხვა ებრაულ გალუთებთან. მცხეთის სინაგოგის „მღვდელი“ აბიათარი ამბობს: „იმ დროს ჩემთან მოსული იყო რომიდან, ეგვიპტიდან და ბაბილონიდან ებრაელთა მღვდლებისა და მწიგნობრების წერილებიო“ [26. 3] ძნელბედობისას „და გახშირდა ასეთი წერილები“-ო [26. 9], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „მთელ ქვეყანაზე გაფანტულ“ ებრაელებს შორის არსებულ კავშირებს. გარდა აღნიშნულისა, კონტაქტები იერუსალიმსა და მცხეთის გალუთს შორის ხორციელდებოდა სპეციალური ემისრების ე. წ. „შლიახ ციბერუბის“ ინსტიტუტის მეშვეობით, რომელიც XIX საუკუნემდე შემოინახა [3. 23-24; 54. 118]. ისინი აგროვებდნენ ფულს იერუსალიმის თემის დასახმარებლად, რომელსაც განსაკუთრებით უჭირდა რომაელ წარმართთა მტრულ გარემოცვაში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ზუსტად მიგვანიშნებს მცხეთის სინაგოგის ადგილმდებარეობას „ქალაქსა შინა დასავლეთისა, კარსა მოგვისა, მტკუარსა ზედა“. (სურ. 1) ეს ყოფილა „ფრიად დიდებული ადგილი იგი დღეთა ჩუენთა, რამეთუ დგა იგი ველსა თვინიერ ნაშენებისა“. ეს არის არსენა მარაბდელის ძეგლის მიმ-



1. სამთავროს სამაროვნის ებრაული მონაკვეთი
2. ავრელიოს აქოლისის ეპიტაფიის პოვნის ადგილი
   საქართველოს სამხედრო გზის პირი
3. მცხეთის დედაციხე
4. „უბანი ჰურიათა"
5. „გეთსამანია" – სინაგოგა
6. მოგვთა ხიდი

სურ. 1. მცხეთა ახ. წ. I-IV საუკუნეებში. სიტუაციური გეგმა.

დებარე ტერიტორია, გეთსიმანიის ტაძრის ნანგრევებიდან მტკვარზე გადმოსასვლელ „მოგვთა“ ხიდამდე. ამ მოგვთა კართან მდგარა „სახლი ელიოზისა“, „მტკუარსა ზედა“. [26. 114, 116]. აქ იდგა ებრაელთა „მცირე ბაგინი“, სამარხვოი მათი“. გარდა იერუსალიმის I და II წმიდათა წმიდა ტაძრისა გალუთის სინაგოგები ებრ. „მაკადაშ ბეატ“-ად იწოდებოდა, რაც ზუსტად შეესიტყვება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „მცირე ბაგინს“, ანუ „მცირე ტაძარს“. „სამარხვოი“ არ ნიშნავს სასაფლაოს. არქეოლოგიური მონაცემებით ებრაული საგოდებელი მდებარეობდა სამთავროს ველის ჩრდილოეთ ნაწილში, ბებრის ციხესთან ახლოს, სადაც IV-VI საუკუნეების ებრაულ წარწერიანი საფლავის ქვებია აღმოჩენილი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „სამარხვო“-ს ქვეშ გენიზა უნდა ვიგულისხმოთ, სადაც ჰალახისა და საერთოდ იუდაიკის კანონების შესაბამისად ხმარებიდან გამოსული სინაგოგის საწესო-საკულტო ნივთები: თორის გრაგნილები, მეზუზები, ნაქარგები, შოფარები და სხვა საკრალური საგნები ინახებოდა. (იუდაიზმის ნორმატიული აქტით მათი ფიზიკურ განადგურება იკრძალებოდა). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებული „მღვდლები“, „მწიგნობარნი“, „მთარგმნელები“ [26. 13] ზუსტად შეესაბამება სინაგოგის, საკრებულოს ორგანიზაციულ სტრუქტურას. მღვდელი იგივე რაბბია – მასწავლებელი, მთელი გალუთის სულიერი მოძღვარი. ლიტურგიის წარმართვაში მას ეხმარებიან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებული: 1) „მწიგნობრები“, ისინი მლოცველებს, განსაკუთრებით შაბათობით, განუმარტავენ „რჯულის წიგნის“ თორის, მოსეს ხუთწიგნეულის ცალკეულ თავებს; 2) „მთარგმნელები“, მათ ევალებოდათ ჯამაათისათვის გასაგებ ენაზე გადმოეცათ მწიგნობართა მიერ თორის წაკითხული თავების შინაარსი, განემარტათ მისი ძირითადი მოთხოვნები. „მწიგნობრის“ ფუნქცია მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლებოდა. მას თემში მინდობილი ჰქონდა მოზარდი თაობის აღზრდა. ამისათვის სინაგოგაში ან სპეციალურ ოთახში (ებრ. ბეიტ-მიდრაშში) ტარდებოდა გაკვეთილები. აქ ებრაულ წერა-კითხვასთან ერთად ბავშვები სწავლობდნენ თორას, „სჯულის კანონებს“. ჩვენი ვარაუდით ასეთი დანიშნულების – „სასწავლებლი სახლი“-ა გამოვლენილი მცხეთაში (იქ აღმოჩნდა 29 სტრიქონიანი ებრაულწარწერიანი ოქროს ამულეტი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი), ამაზე მეტყველებს კედლების გაყოლებაზე მოწყობილი დასაჯდომი მერხები ანუ „სინთრონოს“-„პრესბიტერიუმი“. სამთავროს ველზე აღმოჩენილია IV-V სს. საფლავის ქვა ებრაული ეპიტაფიით (სურ. 2), რომელშიაც იხსენიება „იოსებ ბარ ხაზანი“. ეს პიროვნების იოსებ ხაზანის ძის მამის სახელი გვაძლევს საშუალებას დავუკავშიროთ კონკრეტული პიროვნება სინაგოგის მსახურს – ხაზანს. სინაგოგაში არსებობდა „ხაზანების“ იგივე „კანტორების“ საპატიო თანამდებობა (ზოგჯერ მათ სამეურნეო საქმეები, სინაგოგის მოვლა-პატრონობაც ევალებოდათ, მგალობელთა ლოტბარობა). სინაგოგებში ყველგან შაბათობით ლოცვები სიმღერით სრულდებოდა. ამისათვის საჭირო გახლდათ მუსიკალური წინმძღოლი. ხაზანისათვის სინაგოგაში გამოყოფილია შემაღლებული ადგილი. მგალობელ-მლოცველები დღესაც სახით იერუსალიმისაკენ დგანან. ასევე შაბათობით სინაგოგაში ეწყობოდა პურისა და ღვინის კურთხევის რიტუ-

ალი. ლურჯ სუფრა გადაფარებულ ხონჩაზე იდება ებრაული პური, სურით ღვინო და ჯამი. სრულდება სპეციალური ლოცვა. ვფიქრობთ იუდაური ტრადიციის ეს მხარეა გადმოცემული იოსებ ხაზანის ძის საფლავის ქვაზეც, ანუ აქ „საკვებზე კურთხევის წესის“ გადმოცემასთან უნდა გვქონდეს საქმე (სურ. 2). ანტიკურ ხანაში განუხრელად სრულდებოდა მორწმუნე ებრაელის საფლავზე „ქვის დადების წესი“ გარდაცვალებიდან ერთი თვის განმავლობაში [10. 408, 415]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აღწერს მცხეთის სინაგოგის არა მარტო ადგილ-მდებარეობას, არამედ მის არქიტექტურულ იერ-სახესაც. აბიათარის მონათხრობით სინაგოგას სტოა ანუ გადახურული ერთი ან ორ რიგიანი კოლონადა ამშვენებდა. ბერძნული არქიტექტურული ტერმინი Στοή, ლათ. Porticus საზოგადოებრივ საკულტო ნაგებობის ბაზილიკურ ტიპთან არის გაიგივებული [62. 652]. როგორც ვხედავთ მცხეთის სინაგოგა შეესაბამება „სინაგოგიალური არქიტექტურის“ ტრადიციულ ნორმებს [7. 3]. მისი არსებობა განპირობებული არა მარტო ეკონომიკური შესაძლებლობებით, არამედ ჯამაათის კულტურული განვითარების მაღალი დონით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. არ გვგონია მისი აშენების სახსრები ლტოლვილთა პირველ ტალღას ჰქონოდა ელინისტური ხანის მიწურულში და გვიანანტიკური ხანაში. მცხეთის სინაგოგის ფასადს – („კარსა ზედა ბაგინისასა“, „ყოვლისა მის სტოას“) ამშვენებდა „კალამოი“-ს ხე. მას თავისი რტონი ბაგინის მთელ პორტიკზე გადაეფინა. მას შემდეგ რაც წმ. ნინომ პროზელიტების თანადგომით აღმართა ჯვარი სინაგოგასა და გენიზაზე, გალუთის დიდმა ნაწილმა მიატოვა მცხეთა; მათ პრპტესტის ნიშნად „დასცეს ხეი იგი კალამოი“ [26. 116] ებრაული ზნეობრივი პოზიციებიდან ეს გაუგონარი მკრეხელობაა; (მორწმუნე ებრაელს ეკრძალება ხის მოჭრა, თუ ეს მისი სასიცოცხლო ინტერესებით არ არის გამოწვეული), თორა ავალდებულებს ყოველ ებრაელს: „როდესაც მიხვალთ ქვეყანაში, დარგეთ რომელიმე ნაყოფის მომცემი ხე“ (ვაიკრა 19:23). ხე, ცოცხალი არსება – ადამიანთან არის გაიგივებული, ამიტომ გალუთის ყოველ სინაგოგაში შვატის 15 რიცხვში – გაზაფხულზე აღევლინებოდა სპეციალური ლოცვა მიძღვნილი „ხეთა ახალი წლისადმი“ – „თუ ბიშვატ“. ამ დღეს თემის ყოველი წევრი ვალდებულია დაერგო ერთი ხე მაინც. პროტესტის ასეთი ფორმა, სინაგოგის წინ მდგარი დიდი ხის (ალბათ 100 წლიანი და მეტი) მოჭრა იმდენად უჩვეულოა, რომ აბიათარი ამბობს: „მათ დღეთა შეიშალნეს ურიანი“-ო. ამ ხის ნერგი ალბათ ლტოლვილმა ებრაელებმა ჩამოიტანეს და ის მათთვის ისტორიულ სამშობლოსთან ცოცხალი კავშირის სიმბოლოს წარმოადგენდა. „კალამოის“ ჩვეულებრივ ბერძნულ-ებრაულ Kinnamos-ს ანუ დარიჩინის ხეს უკავშირებენ, რომელიც დღეისათვის მცხეთაში არ ხარობს. ამ ტროპიკული მრავალწლიანი მცენარის მერქანი გამოიყენებოდა დარიჩინის სურნელოვანი საკმევლის დასამზადებლად, გავრცელებულია პალესტინაში [6. 14]. ხმარობდნენ საჭმლისა და ღვინის საკმაზ-სანელებლად. არაერთხელ იხსენიება ის ფსალმუნებში როგორც სურნელოვანი საკმეველი. მცხეთის სინაგოგის მსახურები მისი ქერქისაგან წმინდა საკმეველს თუ ამზადებდნენ. აბიათარ ჰურია-ყოფილი „მეორე პავლე“ განაგრძობდა ქრისტეს სჯულის ქადაგებას მანამდე „ვიდრემდის სივლტოლად იწყეს ჰურიათა“ [26. 124-125] მირიან მეფეს სურდა საერთოდ დაენგრია

სურ. 2. ბარ ხაზანის საფლავის ქვა ებრაული წარწერით. სამთავროს სამაროვანი. IV ს.

სურ. 3. გეთსიმანიის გვიანფეოდალური ხანის ტაძრის ნანგრევები.



სურ. 4. პირველი ქრისტიანული ტაძრის კანკელი (IV ს.) ყოფილი სინაგოგიდან.

სურ. 5. სინაგოგის ნაშთები. გეთსიმანია. III-IV სს.



სურ. 6. სვეტის დოლის სეგმენტი სინაგოგიდან.

სინაგოგა, მაგრამ მის განზრახვას აბიათარი აღუდგა წინ. მან შეძლო დასაბუთება მისი შემდგომი „აღშენებისა". ქრისტიანებს ჯერ არ აეგოთ მცხეთაში ეკლესია. წმინდა ნინოს მიერ ეკლესიად ნაკურთხ ამ სინაგოგაში პროზელიტების გარდა მცხეთელი დიდებულებიც მოინათლნენ. ჩვენი ვარაუდით ეს პირველი ქრისტიანული ტაძარი ახ. წ. IV საუკუნეში იდგა დღევანდელი გეთსემანიის ეკლესიის ადგილას (სურ. 3-5), მტკვრისპირა შემაღლებაზე. აქ აღმოჩენილია სვეტის ნაწილი, კანკელის ფილა და IV საუკუნის ნაგებობის საძირკველი, რომელიც სინაგოგის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს (სურ. 3, 4). ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-მ შემოგვინახა გასაოცრად ზუსტი ცნობები მცხეთის I-IV საუკუნეების გალუთის შესახებ.

ლიტერატურა

1. ალექსიძე ზ., ქრისტიანობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულიდან დღემდე, კრ. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში, თბ., 2007.
2. არბოლაშვილი ლ., პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია", როგორც საქართველოს წყარო, თბ., 2006.
3. აჯიაშვილი ჯ., გამოიღვიძე ქნარო, ისტორიული ესსე, თბ., 1992.
4. ბიბილური თ., ღლონტი ნ., დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი, თბ., 2004.
5. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
6. ბიბლიური ენციკლოპედია, თბ., 1998.
7. ბოსტანაშვილი შ., სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში, I, თბ., 1998.
8. გეგეჭკორი ა., კაჰალის სტრუქტურის სპეციფიკისათვის ქართველ ებრაელებში; კულტურის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1998.

9. გეგეჭკორი ა., ქართველ ებრაელთა „ნათესავ-მეტყველების“ კონცეფცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, კულტურის ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1998.
10. ელიაშვილი ა., შულხან ყარუხი, იერუსალიმი, 2000.
11. ზაქარაია ნ., ურბნისის ნაქალაქარის არქიტექტურა, თბ., 1965.
12. კიკნაძე ზ., მეფე – მონადირე ქვეყნის გაქრისტიანების პროცესში, ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, თბ., 2000.
13. კილაძე რ., გიგოლაშვილი მ., რამიშვილი გ., კუხიანიძე ვ., საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესაძლო თარიღის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, 2007, №2.
14. ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
15. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
16. ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემეოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, №32, თბ., 1955.
17. მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორი, თბ., 1995.
18. მანჯგალაძე გ., არქეოლოგიური მეთვალყურეობის შედეგები სვეტიცხოვლის ეზოსა და ანტიოქიის ეკლესიაში, II სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, მცხეთა, 1998.
19. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 1978.
20. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბ., 1958.
21. მელიქიშვილი გ., ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.
22. მეტრეველი რ., ებრაელები საქართველოში, თბ., 2002.
23. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984.
24. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები, გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბ., 2007.
25. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
26. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963.
27. ნიკოლაიშვილი ვ., ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ებრაელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამადასტურებელი წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები, დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, შრომები, IV, თბ., 2006.
28. ნიკოლაშვილი ვ., ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის ისტორიისათვის (ისტორიულ „დიდ მცხეთაში“ ებრაელთა დიასპორის არსებობის შესახებ), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XVI, თბ., 2003.
29. პატარიძე ლ., მცხეთის ებრაული დიასპორა I-IV სს-ში (სოციალური სტატუსი), ქრისტიანული არქეოლოგიის III სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1999.
30. სანაძე მ., საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. IX, თბ., 2000.
31. სანაძე მ., „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი, თბ., 2001.
32. ქართლის მოქცევა, კრ. „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები“, I, ლ. აბაშიძის რედაქციით, ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები, თბ., 2008.
33. ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. 1 (ძველი

მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ), თარგმნილი და გამოცემული ღვაწლით უ. ბროსე, სანკტპეტერბურღი, 1849.
34. ქურდიანი მ., „ჰურიანი ქართველნი“ და საქართველოში მათი დამკვიდრების თარიღისათვის, ქრისტიანული არქეოლოგიის VI კონფერენცია, თბ., 2002.
35. ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004.
36. ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრების წინასიტყვაობა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
37. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოისჲ“, თბ., 1987.
38. წერეთელი კ., მცხეთის არამეული ამულეტი, მცხეთა XI, თბ., 1996.
39. ჭილაშვილი ლ., ურბნისის ნაქალაქარი, თბ., 1964.
40. Гердер Г., Идеи к философии истории человечества., М. 1977
41. Заицев Н., Очерки быта древних евреев., Киев ,1869.
42. Закарая П., Архитектура античных городов Грузии, Сб. „Архитектурное наследие“, М. 1990
43. Кекелидзе К., К вопросу об иерусалимском происжождении грузинской церкви., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
44. Комей Д., Кто есть кто в Ветхом Завете с Апокрифами, Перевод с английского, М., 1993.
45. Левинская И., Деяния Апостолов на фоне еврейской диаспоры., Спб., 2000.
46. Лимор О., Раз-Кракоцкин А., Евреи и християне, Полемика и взаимовлияние культур, Книга 1, Тель-Авив, 2000.
47. Лимор О., Циглер И., Евреи и христиане, Книга 2, Тель-Авив, 2000.
48. Ломтатидзе Г., Грузия IV-X вв. Сб. „Очерки по истории народов СССР“, т. 2, М., 1958.
49. Мовсес Хоренаци, История Армении, Перевод с древнеармянского языка, введение и примечания Г. Саркисяна, Ереван,1990.
50. Мровели Леонти, Жизнь картлииских царей, Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии Г. В. Цулая, М., 1979.
51. Муравьев С., Заметки по исторической географии Закавказья, Плиний о населении Кавказа, Вестник древней истории, №1, 1988.
52. Натроев А., Мцхет и его собор Светицховели, Тифлис, 1900.
53. Обращение Грузии, Перевод с древнегрузинского Е. С. Такаишвили, Редакционная обработка, исследование и комментарии М. Чхартишвили, Тб., 1989.
54. Фишман Г., Быть или не быть: Евреи перед выбором, Иерусалим ,1995.
55. Attias J.C., Benbassa E., Civilisation Juire, Paris, 1997.
56. Bickerman E. J., The Jews in the Greek Age, London, 1988.
57. Das Leben Kartlis, Eine Chronik aus Georgien 300-1200, Herausgegeben von Gertrud Patsch, Leipzig, 1985.
58. Katz E., Gurevitch M., The Secularization of Leisure, Culture ans Comunication in Israel, London, 1976.
59. Lerner C., The Conversion Kartli, Jerusalem, 2003.
60. Lerner C., The Social status of the Jewish community in ancient Georgia, Unesco, Paris, 1998.
61. Lerner C., The Wellspring of georgian Historiography, The Early Mediavel Historical Chronicle the Conversion of Kartli and the Laife of St. Nino, London, 2004.
62. Liddell and Scxot's, Greek-English Lexsicon, Oxsford, 1953.
63. Mgaloblishvili T., Gagoshidze I., The Jewish Diaspora and early Christianity in georgia, Iberica Caucasica, V, 1, Curzon, 1991.
64. Naveh J., Shaked Ch, Amulets and Magic bowts, Armaic, Incantions of Late Antiquiry, Jerusalem, 1987.
65. Nawrocenie Kartli, Warszawa, 1995 (პროფ. დ. ყოლბაიას გამოცემა აკად. მ. ლორთქიფანიძის წინასიტყვაობით)

"THE CONVERSION OF KARTLI" AND MTSKHETA GALUT IN THE LATE ANCIENT AGE

Guram Lortkipanize, Guram Kipiani

SUMMARY

The ancient Georgian historic annals "The Conversion of Kartli" (9th century) provides detailed evidence on the Mtskheta Jewish diaspora – Galut of the 1st-4th centuries A.D. The authenticity of the evidence is testified by archeological artifacts. Mtskheta was formed as a city in the second half of the 2nd century B.C. From that time it had been Galut, Jews' compact, semiautonomous community (tab. 1) in the new capital of Iberia (Kartli). The centre of its cultural and economic life was a synagogue of basilica type made of column stone, the ruins of which were found under the ruins of Gethsimany cathedral of late feudal age (tab. 3-5) . During the dissemination process of Christianity in 320-326 A.D., in which Jewish proselytes played a major role, the synagogue was transformed into a church by St. Nino from Cappadocia. It was the first Christian church in Mtskheta where representatives of the Georgian highest aristocracy were christened as well as members of the royal family. Archeological excavations have revealed a segment of the building which supposedly was a school (Beit Midrash) as well as a 4th century golden amulet with a 29-line inscription in Aramaic. The inscription mentions "Abraham Sara's son" four times.

9 789994 055906

გამომცემლობა
არტანუჯი